

1956

ბაბ. გ. ფირცხალავასი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

საქართველოს
გაზეთების
კავშირები




— აგერ, ჩვენი უქნარა თავმჯდომარეც გამოჩნდა. მოდი ერთი მაგრად შევახუროთ და ჩვენც გავხუროდეთ.

ნოვინა

№ 23

დამფუძნებელი. თბილისი. გამოსცემის წელი XXXIV წელი 2 მან.

1956



1956 წ.
დეკემბერი
7
პარასკევი

ამ დღეს უსაქმობისგან მოწყენილ ანონიმური წერილების ოსტატს ბედზე მოაგონდება, რომ შეიძლება საჩივრის შეთხზვა მეზობლის ტელევიზორის შესახებ.

1956 წ.
დეკემბერი
12
ოთხშაბათი

ამ დღეს თბილისის ზოოპარკში სიცივისგან აკანკალებული ლომი ნადირთა მეფობას თეთრ დათვს დაუთმობს.

სამსახური დასრულებულია

არ იფიქროთ, ეს ამბავი შეეხებოდეს რომელიმე დიდ საცხოვრებელ სახლს, ან დაწესებულებას. არა, ეს გახლავთ ერთი პატარა სახლი გურამიშვილის ქუჩაზე. მისი ნომერია 28.

საალაყაფო კარიდან ეზოში ეშვება ლუარსაბ თათქარიძისეული კიბე. თითქმის ასეთივე დანჯღრეული კიბე ეზოდან მიიმართება მეორე სართულისაკენ. თვით შენობაც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ...

ამ რამდენიმე წლის წინათ (მობინადრეებს უკვე დაავიწყდათ, როდის) 28 ნომერ სახლთან სატვირთო მანქანები გაჩნდნენ, მოზიდეს კირი, სილა, ქვა, თუნუქი სახურავის შესაცვლელად და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც რემონტისათვის იყო საჭირო.

— აი, ავაშენათ ღმერთმა, ეს ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორის წყალობაა, იძახდნენ მობინადრეები.

თითქმის დაიწყო რემონტი.

პატივცემულო დიანოზ, კიბეც შეგვიკეთეთ, — მიმართეს მობინადრეებმა სამუშაოს მწარმოებელ დიანოზ დრიაშვილს.

კიბე სმეტაში არაა.

— სახურავი?

— სახურავი რა სალაპარაკოა, წყალი ჩამოდის თუ?

ჩამოდის კი არა, პირდაპირ თავსხმაა

— სმეტაში არ ზის, ბატონო, ჩემსას ხომ არ დავახურავ.

— აბა, რა ვქნათ, კაცო?!

— ტაშტები შეიძინეთ, ესეც მე გასწავლოთ! — გაცხარდა დიანოზი.


მეორე დღეს რემონტს სათავეში ახალი ხელმძღვანელი შ. ჯალიაშვილი ჩაუდგა.

ვაი, რომ არც მას ჰქონია იღბალი, მისი მოსვლა იყო და თუნუქის შესადუღებელმა ბალონმაც იქუხა. ისე მაგრად იქუხა, რომ მობინადრეები სიკვდილს ძლივს გადარჩნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯალიაშვილიც გადარჩა და სარემონტო კანტორის მუშაკებიც, მაგრამ სამაგიეროდ აფეთქებულმა ბალონმა ისე მაგრად დათუთქა და შეაშინა ისინი, რომ მას შემდეგ 28 ნომერ სახლს კი არა, გურამიშვილის ქუჩასაც არ გაკარებიან სიახლოვეს. სად წავიდნენ, სად მიიმალნენ, სარემონტო კანტორამ ჩაყლაპა თუ მათ მიერ ჩაყლაპულმა ფულებმა, ეს არავინ უწყის. იმას კი დანამდვილებით ამტკიცებენ, გურამიშვილის ქუჩაზე ისინი გამოხედვასაც ერიდებიანო.

რა მოუვიდა მოზიდულ მასალას? რასაკვირველია, მასალას რომ ფეხი ჰქონოდა, ისიც არ გაჩერდებოდა ანდენ ხანს ერთ ადგილას, ან სახურავზე ავიდოდა და თავის ადგილს დაიკავებდა, ანდა ისევ ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორაში დაბრუნდებო-

და, მაგრამ რა ჰქნას, მას ხომ ფეხი არა აქვს! თუმცა სხვებს აღმოაჩნდათ ფეხიც და ხელიც, და ნაწილი მასალისა სადღაც მიიშალა. ნაწილი კი ისევ ყრია, აწვიმს, ათოვს, მიდის წლები და მასზე არავინ ფიქრობს. დაიწყება წვიმა, შეიქნება ზრიალი 28 ნომერ სახლში, მოიგონებენ იმ უგზო-უკვლოდ დაკარგულ დიანოზ დრიაშვილს, მათ რომ ტაშტების შეძენა ასწავლა, გამოიტანენ ტაშტებს, ქვაბებს და მიმოფენენ ოთახებში. რა კარგი იქნებოდა, რომ სწორედ მაშინ ბუნების ძალამ აქ ქოლგებით შეიარაღებული ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორის მუშაკები მოიყვანოს. ალბათ, მაშინ მაინც გაახსენდებოდათ მათ ბრძნულად ნათქვამი — „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“.

გ. მემკარიაშვილი



დაბადების დღე

— თქვენი დაბადების წელი?—მეკითხება ჩამწერი ქალი. მე ვუპასუხებ.

— თვე?

ჩემს გუნებაში უწესრიგოდ ირევინ წელიწადის სხვადასხვა თვეები; ვერაფრით ვერ გამიკვევია, რომელია მათში ჩემი დაბადების თვე.

— ნუთუ დაგავიწყდათ?

თქვენ წარმოიდგინეთ, დამავიწყდა, ნამდვილად დამავიწყდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არცთუ ისე ცუდი მახსოვრობა მაქვს. კარგად მახსოვს, მაგალითად, რომ ჩემს ბიჭუნას მაისში შეუსრულდა ხუთი წელი. დიდი სამზადისი გავწიეთ მაშინ და შვილს მშვენიერი დღეობა გადავუხადეთ. უამრავი ხალხი მოვიპატიეთ: ცოლის ძმა ოჯახით, სიდდერი, სიმამრი, მეზობლები, ჩემი ამხანაგები, თვითონ გურამის ამხანაგები, უფროსი შვილის ამხანაგები... საუცხოო სუფრა იყო გამლილი... საჩუქრებიც ბევრი მოართვეს შვილიკოს. სხვათა შორის, სათამაშოებში სამი სრულიად ერთნაირი ავტომანქანა აღმოჩნდა; სწორედ იმ დღეს გამოეტანათ მალაზიებში გასაყიდად და სტუმრებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეეძინათ. ახლა სამივე მანქანა კარადის თავზეა შეყრილი, რადგან ჩემს ვაჟკაცს, ეტყობა, სულაც არ იზიდავს შოფრის პროფესია. ჩემი გურამის ამხანაგი, საბავშვობადელი ზურიკო თებერვალშია დაბადებული. მახსოვს, ცოლთან უსიამოვნება მომივიდა მაშინ. დაიქინა—გინდა თუ არა, ხუთსამანეთიანი მოვერცხლილი ყანწი ვუყიდოთ საჩუქრად, იქ, ისეთი ხალხი იკრიბება, რომ თავს ვერ შევირცხვენო. ვერ დავარწმუნე, რომ ბავშვს სურათებიანი წიგნი უფრო გაეხარებოდა, „ხუთმანეთიანი წიგნით გინდა ბავშვი დღეობაში გაგზავნო?“—ანიყვირდა ცოლი, „შე უბედურო, შენ თუ ხარ გამოწყვეტილ ოჯახში გაზრდილი, მე რაღას მემართლები!“, რა თქმა უნდა, ცოლმა თავისი გაიტანა.

ჩემი ქალი ნაწული იენისში ცხრამეტი წლისა გახდა. ერთი კვირით ადრე დაიწყო მან დღეობისათვის მზადება. გადაწყვეტილი ჰქონდა, უკლებლივ დაეპატიჟა თავისი კურსის თითქმის ყველა სტუდენტი, სამოცამდე ახალგაზრდა... ახლა ნათესავები?! ვურჩიე: როგორმე შეემცივებინა მოსაწვევთა რიცხვი, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას წავაწყდი. ცოლმა ცალკე გამათხა:

— სტუდენტი ქალი მოგესწრო და წუწურაქობას მაინც არ იზღო? სანამ მოწაფე იყო, ყოველ წელს ვუხდიდით დაბადების დღეს და ახლა რა ჭირი გეცა?

რაღა გზა იყო. დავუთმე ცოლ-შვილს და გადავიხადე ეს „ლხინიც“. მერე ნაწულის ამხანაგებმა დაიწყეს დღეობების გამართვა და ჩემი ხელფასის გარკვეული ნაწილი საჩუქრებისთვის იქნა განკუთვნილი. აბა ჩემი ქალიშვილი დღეობაში ხელცარიელი ხომ არ წავა?


როცა სექტემბრის ბოლო რიცხვებში ცოლი განსაკუთრებული აღერსით მიმასპინძლდება, მყისვე მაგონდება, რომ პირველი ოქტომბერი მისი დაბადების დღეა. წელს ცოლი „დათმობაზე“ წავიდა. მითხრა: დღეობის გადახდას არ გთხოვ, მხოლოდ შავმურა მელიის ყელსაბურთი უნდა მისაჩუქრო; თან გამაფრთხილა: ორი ათასი მანეთი ღირსო.

თმები ყალყზე დამიდგა და შევძახე:

— ქალო, ორი ათას მანეთად ხომ აქლემს ვიყიდებთქი!

— შე მართლა აქლემო, აქლემს რომელ საკომისიო მალაზიაში იშოვნო?—მივიღე პასუხად.

ბევრი ვიყვირე, ბევრი ვიწუწუნე, მაგრამ ცოლმა მაინც თავისი გაიტანა. ძვირფასი საჩუქარი საგრძნობლად დაეტყო ჩვენს ბიუჯეტს და ერთი კვირის წინ რომ სამსახურიდან ათასი მანეთი პრემია არ მიმელო გეგმის შესრულებისათვის, არ ვიცი, ვაჭირვებიდან როგორ გამოვიდოდი! ისე, გულახდილად რომ ითქვას, ჩემი ცოლი მეტად მოხერხებული ქალია: დღეობიდან-დღეობამდე ძალზე ეკონომიურად განაგებს ოჯახს...



— შენი დაბადების დღე როდისღა?..

— ღმერთმა დახწყევლოს ჩემი დაბადების დღე!

— ამხანაგო!—მესმის ფიქრებში გართულს და ვხედავ: ჩამწერი ქალი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შემომცქერის.

მის დანახვაზე ჩემი აქ მოსვლის მიზეზი მახსენდება. გუშინ, უნივერსიტეტში წვერის საპარსი ელექტრომანქანები გამოიტანეს გასაყიდად. ამხანაგებიდან ბევრმა შეიძინა და მეც გადავწყვიტე მისი ყიდვა. სახლში დაბრუნებულმა ცოლს ფული ვთხოვე, მაგრამ ცივი უარი მივიღე. ფული აღარ მაქვსო.—მომახალა მან.

— როგორ თუ არ გაქვს?—შევძახე მე გაცუებით,—პრემიის ფული რა უყავი?!

ცოლმა ეშმაკურად გაიღიმა, ნაზად მომეხვია და ჩამჩურჩულა:

— ხვალ შენი დაბადების დღეა, გიჟო. მინდოდა მოულოდნელად გამეხარებინე და აღარ შეგახსენე. ჩვენი ქორწინების შემდეგ შენი დღეობა არც კი გადაგვიხდია და მგონი კიდევ დაგავიწყდა... ნუ გეშინია, ყველაფერი მზად არის, ხალხი გაფრთხილებულია: ორმოცამდე სტუმარი გვეყოლება...

მოულოდნელი ამბით „გახარებულმა“ მთელი ღამე თერთად გავათენე და დილით ისეთი საშინელი თავის ტკივილი ამყვა, რომ სამსახურში წასვლის ნაცვლად, პოლიკლინიკაში გამოვიქეცი...

— ჰო, მართლა,—ვეუბნები უცბად ჩამწერი ქალს,—დღეს ჩემი დაბადების დღეა.

ჩამწერი ქალი იკვნეულად მიცქერის, მერე ანკეტაში თარიღს აღნიშნავს და კეკლუცი ღიმილით მეუბნება:

— თუ ასეა, იცოდეთ, თქვენი სტუმარი ვარ!..

მოდი და ნუ გაგიხარდება!

მთხრობა

დაავიწყდა ალექსის, რომ ქვეყანაზე არსებობენ რევიზორები.

ალექსი მართლაც ბატონ-პატრონი იყო კოლმეურნეობისა, მაგრამ როგორც ოდას საბჯენები და ქვიტიკირის სახლს საძირკველი უნდა, ალექსისაც სჭირდებოდა საბჯენ-საძირკველი. აგერ ერთი საბჯენ-საძირკველი — კოლმეურნეობის ბულალტერი; მეორე — მოანგარიშე; მესამე — საწყობის გამგე და მეოთხე — საწყობისა და მარნის დარაჯი.

საწყობის დარაჯსაც ხომ უნდა ჰქონდა? უნდა. უნდა, თორემ საიდუმლოს სულ ერთიანად დაფქვავს. აქმევენ. ისიც მაძლარი ღორივით ღრუტუნებს.

ხმაზეწყობილი ლაფაფენი სალაფავს: თავმჯდომარე, ბულალტერი, მოანგარიშე, საწყობის გამგე, საწყობის დარაჯი...

ალექსიმ ყველაფრის მულამი იცის. ჰო, როდის იყო ნამდვილი რევიზორი რომ მოვიდა? დაავიწყდა. და ნამდვილ რევიზორებსაც დაავიწყდათ იგი.

კოლმეურნეობაში ჰქონდათ უზარმაზარი, მაგრამ მეტად საწყალი ქვევრი. ჩვეულებრივი ქვევრი იყო, რასაც ჩასძახებდნენ, იმასვე ამოკახებდა. შემოდგომით ტუბილით აავსებენ, ცოტა ხანს აბუტბუტდება მაჭრის ენით, და ეს არის და ეს, მერე სულ გაჩუმებულია. თავმოხურული და მიწადაყრილი თავისთვის არის. დიდხანს არაფერს აჩერებს შიგ ღვინოს, მუცელს განოუცარიელებენ და ფუყედ დასტოვებენ. ღვინო იმისთვისაა, რომ კაცმა დალიოს და არა ქვევრში იყოს. ქვევრს კარგად ესმის ეს ამბავი. მაგრამ ის კი ვერ გაიგო, ერთხელ გვერდი რად შეუმტვრიეს.

ამბავი, რაც მიწის ზემოთ მოხდა, ქვევრმა ვერ დაინახა. ბოთლი ღვინო ათი მანეთი ღირს. ორი ათასი ლიტრა — ოცი ათასი მანეთია. ამის გამომანგარიშებას არც ბულალტერი სოსიკო სჭირდება და არც მოანგარიშე შიო.

ხუთას მანეთად სულს გაჰყიდის დარაჯი პეპიჩა, გამოჩერებულ მოხუცია, მიაჩვიეს, გააწუწუკეს.

ათას ხუთასი ლიტრა ამოხაპეს ქვევრიდან. ხუთასი დარჩა. სწორედ ამ დროს სოფლიდან საიდუმლო ქაღალდი გაფრინდა ზემდგომ ორგანოებში. ალექსიმ საიდუმლო ქაღალდისა ვერა გაიგო რა, მაგრამ ის კი შეიტყო, რომ მათთან რევიზორი მოდიოდა.

რაღა ახლა მოუნდათ! — წარბი შეკრა ალექსიმ, ხოლო გულში შიშის ნატამალიც არ შეჰპარვია. ან რისი უდა შეშინებოდა?! გუშინდელი გამოუცდელი ბავშვი ხომ არ არის?!

დაზვერვაზე სოსიკო და შიო გაუშვა, გამიგეთ ვინ არისო. უცნობი, რაიონის ცენტრში, სასტუმროში გაჩერებულიყო და მეორე დღეს სოფელში უნდა ამოსულიყო.

საიმედო კაცებიდინ ამ რევიზორს ვერაფერს სცნობდა.

ალექსიმ წარბი შეკრა, კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა. ერთხანს სოსიკო და შიოც დუმდნენ. ალექსი ჯარისკაცებივით გაქიმულ სოსიკოსა და შიოს მიუბრუნდა:

- პეპიჩას დამიძახეთო, — ბრძანა.
- მოჰგვარეს პეპიჩა.
- რას მიბრძანებთ?
- იმას, რომ... — ალექსიმ პეპიჩას თვალეში ჩახედა, თითქოს შიგ უნდა ამოიკითხოს — მისი ერთგულია თუ არა.

— გატეხე ქვევრი! — თქვა უცებ ალექსიმ და გაიღიმა. აქამდე შეკრული მისი წარბები გაიშალა. სოსიკომ და შიომ თავისუფლად ამოისუნთქეს, ხოლო პეპიჩა გამოლენჩებული მისჩერებოდა თავმჯდომარეს და ბულალტერ-მოანგარიშეს, ვერ მიხვდა, რა უთხრა ერთმა და რა მოეწონა ორს.

— რა პირი დავილია? ჩადი ქვევრში, ცოტა გამოამტვრიე!

— აჰა, — მიხვდა პეპიჩა, საცოდავად გაიღმიჭა, აცმუქდა, მხრები აწურა, თვალები მოკუტა და მერე ჩაიქირჭილა.

— დარჩენილი ღვინო?
— კასრში ამოიღე. ეს ამაღამ უნდა გააკეთო, გესმის? პეპიჩამ ქუდი ხელში მოკბუჭა, მერე გაასწორა, თავზე მოირგო, მერე წელში გასწორდა და ჯეელი კაცის ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

მეორე დღეს მოვიდა რევიზორი. ალექსიმ გულთბილობითა და ხელგაშლილობით მიიღო, მაგრამ იმ რევიზორმა წარბი არ გახსნა.

„შენაირი არტისტები ბევრი მინახავს, ძმობილო“... ფიქრობდა ალექსი.

— აბა მაჩვენეთ, ის თქვენი ორიათასლიტრიანი ქვევრი რომ ამოცალეთ. — ეუბნება რევიზორი.

— დიახ, ამოვცალეთ, გასდიოდა... გატყდა, გაიბზრა აღბდათ, გასდიოდა... თურმე გატეხილი ყოფილა... მერე თქვენ საიდან იცით ამოვცალეთ, თუ რა იქნა ღვინო?.. ღვინო მიწაში დაიკარგა, — ბურტყუნებდა ალექსი. ქვევრებისაკენ წაუძღვა რევიზორს.

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ახლა დახუსტება საჭირო, — ამბობს რევიზორი მკვახედ და ხანდახან ალმაცერად შეხედავს თავმჯდომარის ღიბს.

რევიზორი მივიდა ქვევრთან, ჩაიხედა. შიგ აბა რას დაინახავდა, ქვევრში ბნელოდა.

- გასდის?
- გასდის, ბატონო, ამხანაგო, პატივცემულო...
- აჰა! გასდის მაშ, ჰა?
- დიახ, დიახ, გასდის, გასდის.
- აბა შევამოწმოთ თუ მართლა გასდის.

შეამოწმეს. პეპიჩას ხელურებზე კასრი დაადებინეს და იმ კასრით წყაროდან წყალი აზიდინეს, ასხეს ქვევრში და ქვევრი ვერა და ვერ აავსეს...

— უძირო ყოფილაო, — დაბეჭდა რევიზორმა. ალექსის გულს მოეშვა, სოსიკოს და შიოს სახეზე ღიმი მოადგათ, ხოლო პეპიჩა წყლის ზიდვით წელში გამწყდარიყო და აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა.

კაი ხანი დასჭირდა ქვევრის შემოწმებას, განმარტებითი ბარათის შედგენას იმაზე, რომ ამა და ამ კოლმეურნეობაში იყო უძირო ქვევრი, რომ ორი ათასი ლიტრი ღვინო მიწაში გაპარულა. საღამო ხანს სუფრას მოუსხდნენ. რევიზორმა თავპატივი გამოიღო, მაგრამ ისიც კაცი იყო და ჰამა მასაც უნდოდა.

ამ პურისჰამაში რომ იყვნენ, აივანზე გახვითქული პეპიჩა გამოჩნდა, ალექსი გარეთ გამოიხბო და ქოშინით უთხრა:

- პირდაპირ ქვევრთან მოვიდნენ.
- ვინ, ვინ მოვიდა? მერე რა მოხდა?
- ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტები ვართო. ჰოდა, გიბარებენ.

— გული რამ გაგიხეთქა მერე? წადი, ახლავე მოვალთ. წადი შენ ხელურები გააჩხადე და წყალი მოზიდე... იმათაც დაუემტოცებ... წადი.

პეპიჩა ქვევრთან დაბრუნდა. ის ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი იქვე ისხდნენ და თავმჯდომარეს უცდიდნენ.

- ღვინო სულ გაყიდეს? — ეკითხება ერთ-ერთი პეპიჩას.
- მე არა ვიცი რა... ქვევრს გასდის და დაიქცა.
- შარშან გასდიოდა?
- ცოტა-ცოტა გასდიოდა, მაშ.
- მაშ რომელ ქვევრიდან ამოღებული ღვინო გაყიდეს ბაზარზე?

— აბა რა ვიცი, მე რომელი გამყიდველი ვარ! მოვიდნენ ალექსი, სოსიკო, შიო. ალექსი დიდის ამბით მიესალმა სტუმრებს.

- რაღა ამ ცარიელა ქვევრს უზიხართ, შინ წამობრძანდით,
- ეს ქვევრი როდის გაიბზარა? — იკითხა ახალგაზრდამ.
- აბა რა ვიცი, — ხელები გაშალა ალექსიმ, — ღვინო ჩავახსით! თავი დაეხურეთ და როცა მოვხადეთ... შიგ ღვინო აღარ იყო...
- რა დიდი უბედურება მოხდა! — თქვა გაზეთის წარმომადგენელმა, — ჩვენ მაინც ჩვენის თვალთ გვინდა დაგწმუნდეთ.
- ახლავე, ახლავე დაგარწმუნებთ, — დაფაცურდა ალექსი, — ეი, პეპიჩა, მოზიდე წყალი!

პეპიჩა მოიღრუბლა და პირველად შეჰკადრა თავმჯდომარეს: — ბარემ წყარო აქ გამოიყვანე!

ალექსიმ თვალეში გადაუბრიალა, მეტი არ წამოგცდესო. მაგრამ როცა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ქვევრში ჩაიხედა, თავმჯდომარეს მოსთხოვა, ის, წყალია თუ ღვინო, ამოხაპეთ ქვევრიდანო.

წყალი იყო. ამოხაპეს, ქვევრი დაცალეს. ისევ პეპიჩას გადახდა ჯაფა. ორთაგან, ერთი სტუმარი ქვევრში ჩავიდა, ჯიბის ფანარი შიანათა და მალე ყველამ დაინახა, როგორ ამოსწია მან ქვევრის კედლის ნამტვრევი.

მაშინ კი ის დაუღეპავადე გადაყლა რევიზორმა, ყელში გაეჩხირა და ლამის დაიხრჩო. პეპიჩას მაინც დასჭირდა წყლის მოტანა, რათა კაცი სიკვდილს გადაერჩინა.

ალექსი იღვა და მისი ცივი ოფლის წინწყლები ქვევრთან ეცემოდა.




უხეხავი და ვაღვიზორი

წინათ ფეხბურთის რადიო-ქტორები ხშირად აზვიადებდნენ თამაშის მსვლელობის ზოგიერთ მომენტებს, ახლა კი, ტელევიზორის ამუშავებასთან დაკავშირებით, მეტად გართულდება მათი საქმიანობა.

... ამხ. რადიომსმენელებო, დღეს აქ, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და ბათუმის „ზღვაურის“ გუნდები... მეორე ტაიმის დაწყებიდან 8 წუთი, ანგარიში ჯერჯერობით 0:0-ია. ვნახოთ რას მოიტანს დარჩენილი... ბურთი აქვს კალოვეს, მოატყუა ერთი ბათუმელი მცველი, მეორე... მესამე... ეე... ბოდიში, ბოდიში, ანხანაგო ტელემაყურებლებო!.. ეს მე მოგატყუეთ, ხა, ხა... კალოვემა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ ერთი ბათუმელი მცველი მოატყუა და ბურთი აუტში გაგზავნა...

...ბათუმელები გრძელი გადაცემებით... აი, ბურთი მიიღო „ზღვაურის“ მარცხენა თავდამსხმელმა და ყუმბარისებური... 45 მეტრის მანძილიდან „დინამოს“ კარში გაგზავნა... ეე... 45 არა და 25 მეტრი კი... ერთი სიტყვით, გაგზავნა, მაგრამ რა დროს კამათია, ბურთი აქვს... „ზღვაურის“ საჯარიმო მოედანზეა, კარისკენ გაიჭრა

ნახ. ნ. მალაზონისი




— ორმაგად მეტს მართმევ, და ხხვებმა გაცილებით უკეთ შეგაკერიო.
— ხხვებმა, გენაცვალე, გაცილებით მეტი მომცეს.

ლოლობერიძე, დარტყმა! მაგრამ ბათუმელთა შუადამცველმა ხიფათის თავიდან... ბურთი მესამე იარუსზე გაგზავნა, ეე... მესამესი რა მოგახსენოთ და მეორე ხომ არის, ამხ. ტელემაყურებლებო!.. სანამ ბურთს მოედანზე გადაგადებდნენ... დინამოელებს აცვიათ ლურჯი ტრუსები და თეთრი მაისურები. ბათუმელებს კი, პირიქით... ესე იგი, მათაც აცვიათ, მხოლოდ თეთრი ტრუსები და ლურჯი მაისურები. ნეტავ, როდისღა ჩაიცვამენ თბილისელები თავიანთ ტრადიციული „დინამოს“ ფორმას, მაყურებლები იმას მაინც იტყვიან, დღეს „დინამო“ თავის ძველ ფორმაში იყო... მაგრამ გადავდოთ სიცილი სხვა დროისათვის, ახლა კი ბურთი აქვს... ეე... ბურთი აქვს... ეე... ვილაც ბათუმელს, გადააწოდა მეორე ვილაცას, ანან მესამე ვილაცას... სულელი ყოფილა ვილაცა — ბურთი ელოშვილს მიართვა საკუთარ ხელში, ბოდიში — ფეხში... მათი გვარები პროგრამაში წერია...

...მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო ჭკუასელმა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც თქვენც დაინახეთ — ხელზე მოხვდა, მსაჯი ახლა დანიშნავს საჯარიმოს თბილისელების კარისკენ... არა, არ დანიშნა... ეე... ამხ. ტელემაყურებლებო, მართალია თქვენ დაინახეთ, თუ როგორ მოხვდა ბურთი ხელზე ჭკუასელს, მაგრამ ეს ოპტიკური მოჩვენებაა... ჯერ კიდევ ამახინჯებს გამოსახულებას თბილისის ტელევიზორები... აი, მსაჯი უსტვენს და... ბიჭოს! — ჭკუასელს ხელზე ანიშნებს, ბურთი მოგხვდაო... ახლა გაახსენდა მაგ მამაცხონებულს? საჯარიმო თბილისელებისაკენ. ისე კი დიდი განოგონებაა ტელევიზორი...

არის! გოლი!!! ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ოპერატორებმა სატელევიზიო კამერის მოტრიალება ვერ მოასწრეს კარისაკენ, დიახ, მე ჩემი თვალთ დავინახე, რომ ვერ მოასწრეს, თქვენ კი ვერ მოგართვეს, ამხ. ტელემაყურებლებო, თქვენ ვერაფერიც ვერ დაინახეთ. დამწვიდდით, აგერ არ ვარ? ყველაფერს დაწვრილებით ვიამბობთ — მიიღო თუ არა ბურთი მარლანიამ, დიდხანს უმიზნა, უმიზნა და ხელში მოარტყა ბათუმელთა მცველს, დანიშნა საჯარიმო „ზღვაურის“ კარისაკენ, ჭკუასელმა საჯარიმო იმ ანგარიშით დაარტყა, რომ კორნერი გაკეთებულყო... ახლა კი ამოისუნთქეს დინამოელებმა და აირატომ: კორნერი ხასიათ დაარტყა, მაგრამ



საიტკენ? საიტკენ და მალა. რატომ? რატომ და სანამ ბურთი მიწამდე დაეშვებოდა, შორს მდგარმა ელოშვილმა მოასწრო მორბენა და ბურთი ძლიერად... ჩაუგდო ხელეში ბათუმელთა მეკარეს, ამანაც იმ წუთშივე გადააწოდა თავის მარცხენა გარემარბს, და რადგან ელოშვილი იქ აღარ იყო, გოლი თავისუფლად გაიტანა... დიახ, ანგარიში გახდა 2:1, 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ, რადგან სანამ თქვენთან ვსაუბრობდი, „დინამოელებმა“ ორი ბურთი გაიტანეს... ნეტავ როგორ გაიტანეს?

...თამაშის დამთავრებამდე 5 წუთი... ბათუმელები მთელი ენერგიით ყაიმისათვის, ისინი დასახლდნენ თბილისელთა კართან... არეულობა „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე, თამაშის დამთავრებას წუთნახევარიღა... აი, ერთი ბათუმელი, როგორც დავინახეთ, არავინ დაჯახებია და მაინც დაწვა თბილისელთა კართან, რა თქმა უნდა, „პენალტი“ უნდა... ეს ვერ დაინახა მეორე ბათუმელმა და ისიც წამოწვა, იმავე განზრახვით... მსაჯმა დააკმაყოფილა მათი ერთსულოვანი კოტრიალი... 11-მეტრიანი დარტყმა, არის!

ანხანაგო რადიომსმენელებო, თამაში დამთავრდა, თამაში დამთავრდა ანგარიშით — 2:2. ტამ-ტარა-ტარა-ტარა, ტამ, ტა, რამ, ტა. უჰ, ბოდიში...

აბაბა ვაგონა

რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გვიგენიშვილი, ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 23, ხელმოწ. დასაბ. 17/XII-1956 წ. ჯალ. ზომა 70 X 100 1/8, 0, 5 ნახ. ფურც. 1,37. ფურადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანაშვილის ქ. № 5. შეკვ. № 1429. უფ. 07765. ტირ. 25.00.



თანამედროვე ყვავი და მალა

ჩემს ტკბილ ძმობას გეფიცები,
ძილი არ მაქვს, მახრჩობა ბრაზი,—
კორად მითხრეს, თითქოს ბულბულს
ხმა ჰქონოდა უენზე ნაზი!

აბა, ერთი .ყვა—ა“ მითხარ,
რომ დავრწმუნდე ცილს ვინ გწამებს,
მაგ ნისკარტის ერთი გახსნა
მე გულს ეშხით დამიამებს!

ეროვნული ბიბლიოთეკის სსიპი
374
საბჭოთა კავშირი
28/11 50 წ.